ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ №08.11.07/10/066

ქ.თბილისი 20 აპრილი 2018 წ.

ერთის მხრივ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის რაიონის გამგეობა (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი გამგებლის კახაბერ ლაბუჩიძის სახით და მეორეს მხრივ შპს „რემბო" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ილი მდინარაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე დებენ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინების განმარტებები

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით;

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება" - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 „შემსყიდველი" -ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 „მიმწოდებელი" - პირი, რომელიც ასრულებს საქონლის მიწოდებას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 „დღე", „კვირა", „თვე" - კალენდარული დღე, კვირა, თვე.

2. ხელშეკრულების საგანი და საფუძველი

2.1 ხელშეკრულების საგანია წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებისათვის 200 ცალი ღია სივრცის ვერცხლისფერი ტიფანის სკამის-ბალიშით გაქირავების (ტრანსპორტირებით და დეკორატიული კუთხის მოწყობით) მომსახურების შესყიდვა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ს' ქვეპუნქტის საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით (ინვოისი თან ერთვის);

2.2.CPV კოდი 70130000.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 2 124 (ორი ათას ას ოცდაოთხი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში;

4.2 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მხარეთა მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის შემდეგ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე;

4.3 მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, შემსყიდველისა და მიმწოდებლის საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით;

5.2 ხელშეკრულების შესრულების კონტროლზე და ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე პასუხისმგებელ პირს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობიდან წარმოადგენს ქ. თბილისის ისნის რაიონის გამგეობის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის განყოფილების უფროსი ელენე დადიანი.

6. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი

6.1. მომსახურება განხორციელდება 2018 წლის 23 აპრილს;
6.3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილი: ქ.თბილისი, რიყის პარკი;
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია გასწიოს მომსახურება სათანადო ხარისხით.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
7.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში;
7.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.2%-ის ოდენობით;
8.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება;
8.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე;
9.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
9.3.ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ;
9.4. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილება მიღების განზრახვის შესახებ;
9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დაუძლეველი ძალა

10.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება შეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე, მაგრამ არაუგვიანეს 2018 წლის 25 მაისის ჩათვლით.

14. სხვა პირობები

14.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით;

14.2. მიმწოდებელს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები შემსყიდველის წერილობითი თანხმობის გარეშე;

14.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით;

14.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან ერთი პირი მიმწოდებელთან და ორი პირი შემსყიდველთან). ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი:

ოსნის რაიონის გამგეობა
მის. ქ.თბილისი, ნავთლუღის ქუჩა №8-1
ხაზინის ერთიანი ანგარიში
კოდი TRESGE22
საიდენტ. კოდი 208 204 959

გამგებელი

_____ კ. ლაბუჩიძე

მიმწოდებელი:

შპს „რემბო"
მის. ქ. თბილისი, წყნეთის ქუჩა №2ა
სს „თი ბი სი ბანკი"
ა/ა GE67 TB79 8843 6080 1000 05
კოდი TBCBGE22
საიდენტ. კოდი 405 026 109

დირექტორი

_____ მ. მდინარაძე

ქ. თბილისი

20 აპრილი 2018 წ.

„ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის საფუძველზე, ვადასტურებ, რომ ჩემი მონაწილეობა წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებისათვის 200 ცალი დია სივრცის ვერცხლისფერი ტიფანის სკამის-ბალიშით გაქირავების (ტრანსპორტირებით და დეკორატიული კუთხის მოწყობით) მომსახურების შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ საქმიანობაში არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს.

წიგნისა და საავტორო უფლებების დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს წიგნის გამომცემელთა და გამავრცელებელთა ასოციაციის ორგანიზებითა და ქალაქ თბილისის მერიის მხარდაჭერით განსახორციელებელი კულტურული ღონისძიებისათვის 200 ცალი დია სივრცის ვერცხლისფერი ტიფანის სკამის-ბალიშით გაქირავების (ტრანსპორტირებით და დეკორატიული კუთხის მოწყობით) მომსახურების შესყიდვაზე, 2018 წლის 20 აპრილს გაფორმებული №08.11.0710/066 ხელშეკრულების შესრულების კონტროლსა და ზედამხედველობაზე განმახორციელებელი ფიზიკური პირი:

ქ. თბილისის ისნის რაიონის
გამგეობის კულტურის, სპორტისა და
ახალგაზრდობის განყოფილების
უფროსი

ე. დადიანი.

075

23.04.2018

შემსრულებელი:

შპს რემბო REMBOW

405026109

მისამართი: წყნეთის ქ., №2ა

ბანკი: ს.ს. "თიბისი ბანკი"

ბანკის კოდი: TBCBGE22

ა/ნ: GE67TB7988436080100005

Rem • Bow
events

დამკვეთი:

დასახელება: ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ისნის გამგეობა

ს/კ: 208204959

მისამართი: ნავთლუღის ქუჩა 8-1

N	დასახელება	რაოდენობა		ჯამი
	ფურშეტის ინვენტარი			
1	ღია სივრცისთვის ვერცხლისფერი ტიფანის სკამი ბალიშით გაქირავება (ტრანსპორტირება, დეკორატიული კუთხის მოწყობით)	200	ცალი	1800
	ჯამი			1800
	დღგ			324.00
	სულ			2124.00

დირექტორი: იზი მდინარაძე

GEORGIA "REMBOW" LTD • 405026109 •